



ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
თავმჯდომარის მოადგილის

ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წევრის

გიორგი ღურჯუმელიძის

2020 წლის განუყოფელი მუშაობის შესახებ მორიგი

ანგარიში

საანგარიშო პერიოდი
01.01.2020 – 31.12.2020 წელი



საკრებულოს წევრის გიორგი ღურჯუმელიძის ანგარიში



**პატივცემულო ამომრჩევლებო,
საკრებულოს თავმჯდომარევ,
საკრებულოს წევრებო**

2017 წლის 21 ოქტომბრის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შედეგად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის IV მოწვევის საკრებულოს წევრად არჩეული ვარ მ.პ.გ. „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს პროპორციული სიით, ხოლო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის უფლებამოსილების განხორციელებას შევეუდექი 2017 წლის 27 ნოემბერს. ახლადარჩეული საკრებულოს პირველ სხდომაზე საკრებულოს მიერ არჩეული ვარ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილედ. ვარ ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წევრი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის „გენდერული თანასწორობის საბჭოს“ წევრი. ასევე, საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი.



საკრებულოს წევრი უპირველესად ვალდებულია უფლებამოსილება განახორციელოს ამომრჩეველთა ინტერესების გათვალისწინებით, სრულად და კანონის დაცვით. პირველ რიგში ეს გამოიხატება საკრებულოს სხდომებში მონაწილეობით, საკრებულოს გადაწყვეტილებების მომზადებაში მონაწილეობით, კომისიების, ფრაქციის, დროებითი სამუშაო ჯგუფების მუშაობაში მონაწილეობით, საკრებულოს წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოსადმი მიმართვით, მოქალაქეებთან შეხვედრით, მათი წერილების, წინადადებების, საჩივრების განხილვით და განუვლი მუშაობის შესახებ ანგარიშის წარდგენით.



საანგარიშო პერიოდში განხორციელებული საქმიანობა

➤ საკრებულოს სხდომებში მონაწილეობა

საანგარიშო პერიოდში გაიმართა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 20 სხდომა, მონაწილეობა მივიღე 18 სხდომაში, მათ შორის 10 მორიგ და 8 რიგგარეშე სხდომაში. საკრებულოს სხდომებზე, რომლებშიც მივიღე მონაწილეობა, განხილული იქნა 131 საკითხი, მათ შორის 19 დადგენილების პროექტი და 67 განკარგულების პროექტი.





➤ **დროებით სამუშაო ჯგუფებში მონაწილეობა**

საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფის შექმნის აუცილებლობა წარმოიქმნება მაშინ, თუ კონკრეტული საკითხი სცდება ერთი კომისიის უფლებამოსილებას, საჭიროა საკითხის კომპლექსური შესწავლა და საკრებულოს გადაწყვეტილების პროექტის მომზადება.

საანგარიშო პერიოდში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 7 ოქტომბრის N46 განკარგულებით, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების 2019-2022 წლების სტრატეგიით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგისა და შეფასების მიზნით, შეიქმნა დროებითი სამუშაო ჯგუფი, რომლის წევრიც გახლდით. სამუშაო ჯგუფის მუშაობის მიზანი იყო სტრატეგიით გათვალისწინებული სამოქმედო გეგმით განსაზღვრული განსახორციელებელი ღონისძიებების შესრულების მდგომარეობის შესწავლა და ანგარიშის მომზადება. მიმდინარე ეტაპისათვის ანგარიში მომზადებულია და უახლოეს პერიოდში წარედგინება საკრებულოს სხდომას განსახილველად.

➤ **ფრაქციის მუშაობაში მონაწილეობა**



ფრაქცია საერთო პოლიტიკური შეხედულების მქონე საკრებულოს წევრების ნებაყოფლობითი გაერთიანებაა, რომელიც იქმნება საკრებულოს წევრთა საქმიანობის კოორდინაციის მიზნით.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის IV მოწვევის საკრებულოში შექმნილია ფრაქცია „ქართული ოცნება - დემოკრატიული

საქართველო“, რომელიც აერთიანებს საკრებულოს 24 წევრს, ამ ფრაქციის წევრი გახლავართ მეც.

საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მივიღე ფრაქციის მიერ ჩატარებულ 13 სხდომაში, სადაც განხილული იქნა საკრებულოს სხდომებზე წარსადგენი მნიშვნელოვანი საკითხები, მოსახლეობის წინაშე არსებული პრობლემები და მათი გადაჭრის გზები. ფრაქციის სხდომებზე პერიოდულად ვინვევდით აღმასრულებელი ორგანოების



საკრებულოს წევრის გიორგი ღურჯუმელიძის ანგარიში



თანამდებობის პირებს და ვისმენდით მათგან დამატებით ინფორმაციას სხვადასხვა საკითხებზე, მათ შორის COVID 19-ის პანდემიით გამოწვეული სირთულეების დასაძლევად განხორციელებული და დაგეგმილი საქმიანობის თაობაზე. თანატრაქციელებთან ერთად ვმონაწილეობდი ფრაქციის მიერ დაგეგმილ და განხორციელებულ სხვადასხვა სახის აქტივობებში.

➤ ინიცირებული საკითხები

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით“ განსაზღვრული წესით, საანგარიშო პერიოდში, მე, როგორც საკრებულოს წევრმა, საკრებულოს ინიციატივის წესით წარუდგინე შემდეგი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების (საკრებულოს დადგენილება) პროექტები:

✓ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრების მიერ მუნიციპალიტეტის ამომრჩევლებთან საჯარო შეხვედრების მოწყობის წესის, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ განეული მუშაობის ანგარიშის ფორმის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი - აღნიშნული დადგენილების მიღება მიზნად ისახავდა როგორც კანონის მოთხოვნის შესრულებას, ისე თვითმმართველობის საქმიანობის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანესი მიმართულების განხორციელების ხელშეწყობას და პროცესის მდგრადობის უზრუნველყოფას.

✓ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დამტკიცების შესახებ, რომელშიც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 2000-ს აღემატება“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი - აღნიშნული პროექტი საკრებულოს წარუდგინა როგორც ალტერნატიული წინადადება. დადგენილება ითვალისწინებს, იმ დასახლებებში, სადაც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა აღემატება 2000-ს, მოქალაქეების თვითორგანიზაციის ფორმას და შესაძლებლობას. აღნიშნული დადგენილებით განისაზღვრა, რომ ქალაქ ოზურგეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შესაძლებელია შეიქმნას დასახლების 13 კრება, დაბა ნასაკირალში 2, ხოლო დაბა ლაითურში დასახლების 2 კრება. ამდენად, მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ყველა დასახლების მაცხოვრებლებს აქვთ შესაძლებლობა ისარგებლონ მოქალაქეთა თვითორგანიზაციის თანაბარი ფორმით და შესაძლებლობით.



საკრებულოს წევრის გიორგი ღურჯუმელიძის ანგარიში



წარდგენილი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების პროექტები განხილული იქნა მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიების, ბიუროს და საკრებულოს სხდომებზე. საკრებულოს წევრთა უმრავლესობამ მხარი დაუჭირა ორივე საკითხს.

ინიცირებული საკითხებიდან მიღებულ იქნა სულ 2 დადგენილება.

➤ მხარდაჭერილი მნიშვნელოვანი საკითხები

✓ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე ტერიტორიაზე - დასახლების (დაბა) გომისმთის შექმნის თაობაზე“ - საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროსათვის შუამდგომლობის წარდგენის შესახებ - სამინისტროსათვის წარსადგენი შუამდგომლობის მომზადების პროცესში დარგობრივ კომისიასთან ერთად აქტიური მონაწილეობა მივიღე. დადგენილი პროცედურის გათალისწინებით, მოვახდინეთ ადგილობრივი მოსახლეობის აზრის შესწავლა, მოვამზადეთ სათანადო დოკუმენტაცია და წარვუდგინეთ სამინისტროს. საბოლოოდ, საქართველოს მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება და ოზურგეთის მუნიციპალიტეტში შეიქმნა 30-ე ადმინისტრაციული ერთეული, რიგით მე-5 დაბა „გომისმთა“, რომლის ტურისტული პოტენციალის ათვისება დარწმუნებული ვარ მომავალ პერიოდში უდიდეს ეკონომიკურ სარგებელს მოუტან მუნიციპალიტეტის მოსახლეობას და მთლიანად რეგიონს.

✓ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ წარმოდგენილი, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2020-2021 წლებში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან, განსახორციელებელი და დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების თაობაზე“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების შესახებ - მუნიციპალიტეტში კეთილმოწყობის ღონისძიებების განხორციელება ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. აღსანიშნავია, რომ საანგარიშო პერიოდში, მიუხედავად რთული ეპიდემიოლოგიური ვითარებისა, მუნიციპალიტეტის მმართველმა ორგანოებმა შევძელით და შეფერხების გარეშე წარიმართა და განხორციელდა დაგეგმილი ინფრასტრუქტურული პროექტები. ვიმედოვნებ, რომ განხორციელებული სამუშაოების შედეგად მუნიციპალიტეტის მოსახლეობა საკმაოდ დიდ სარგებელს მიიღებს.

✓ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიასა და გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP) შორის გაფორმებული საგრანტო ხელშეკრულების შეთანხმების



საკრებულოს წევრის გიორგი ღურჯუმელიძის ანგარიში



შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მიღების თაობაზე - სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა მუნიციპალიტეტისათვის სტრატეგიული მნიშვნელობის საკითხია, რომელიც გრძელვადიან პერსპექტივაში განსაზღვრავს მოსახლეობისათვის ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შექმნას. ასეთი სახის დოკუმენტის შემუშავება-დამტკიცება ოზურგეთის მუნიციპალიტეტში პირველი პრეცედენტია და ვფიქრობ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი კურორტის გრძელვადიანი და მდგრადი განვითარებისათვის. დოკუმენტის შესამუშავებლად, საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მხარდაჭერით, „გაეროს განვითარების პროგრამა საქართველოში (UNDP)“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტს გარანტის სახით გადასცა 240 000 ლარი. მიმდინარე ეტაპისათვის გამოცხადებულია კონკურსი და შესაბამისი კომპანიის შერჩევის შემდეგ დაიწყება დოკუმენტის შემუშავება.

✓ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების თაობაზე - მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი მთავარი საფინანსო დოკუმენტია, რომელიც განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის განვითარების ძირითად პარამეტრებს. საბიუჯეტო თანხები აუცილებელი რესურსია ხელისუფლების წინაშე არსებული ამოცანების გადასაწყვეტად და მოსახლეობისათვის სათანადო საცხოვრებელი გარემოს შესაქმნელად. სწორედ ამიტომ ბიუჯეტის პროექტის განხილვის, დამტკიცების, შემდგომ შესრულების და ანგარიშგების პროცესს დიდი პასუხისმგებლობით ვეკიდები. გუნდთან ერთად, პანდემიის პირობებში, კანონით დადგენილ ვადებში, შევძელით დოკუმენტის სიღრმისეული განხილვა, მერს წარედგინა შენიშვნები და რეკომენდაციები, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილის გათვალისწინების შემდეგ, საკრებულოს უმრავლესობასთან ერთად მხარი დაუჭირე ბიუჯეტის დამტკიცებას.

✓ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2021 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება - ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი, რომელიც შეეხება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური და ჯანდაცვის პროგრამების განკარგვის წესს. საკრებულოს მიერ აღნიშნული წესის განხილვა-დამტკიცების პროცესში კოლეგებთან ერთად წარვადგინე წინადადებები დოკუმენტის დასახვეწად და გასაუმჯობესებლად, რაც ასახული იქნა დოკუმენტის საბოლოო ვერსიაში.

✓ აქტიურად ვიყავი ჩართული ერთ-ერთი ახლი პროგრამის „იყავი თანამმართველი“ განხორციელება პროცესში. პროექტის ავტორთან, ბატონ ალექსო ბერიძესთან ერთობლივი



საკრებულოს წევრის გიორგი ღურჯუმელიძის ანგარიში



მუშაობის შედეგად, მიღებული იქნა გადაწყვეტილება და პროექტების შერჩევითი აუცილებელი ღონისძიებების განხორციელებაში აქტიურად ჩაერთო ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ცენტრალური ბიბლიოთეკა, რაც ვფიქრობ მეტად პოზიტიური შედეგების მომატანი იყო და მომავალშიც იქნება. აღნიშნული პროგრამის თარგვლებში გამოვლინდა 10 გამარჯვებული პროექტი, მონაწილეობა მიიღო 4500-ზე მეტმა ამომრჩეველმა, რაც მოქალაქეთა მონაწილეობის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია.

✓ ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხი ჩემი აზრით, რომელსაც უმრავლესობასთან ერთად მეც დავუჭირე მხარი, წარმოადგენდა 2020 წლის ბიუჯეტიდან საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისათვის დამატებითი დაფინანსების გათვალისწინებას ავტოსატრანსპორტო საშუალების შესაძენად, რაც პანდემიის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში აუცილებლობას წარმოადგენდა. ასევე, აივ - ინფექციის, ც - ჰეპატიტისა და ტუბერკულოზის პრევენციის მიზნით მოსახლეობასთან კარდაკარ მისვლით გამოკვლევისათვის ფინანსური რესურსების გამოყოფას - დღეისათვის კვლევა ჩაუტარდა 20 000 მოქალაქეს, რაც საკმაოდ მნიშვნელოვანი მაჩვენებელია.

➤ საკითხები, რომლებსაც მხარი არ დავუჭირე

✓ „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის იმ დასახლების საერთო კრების ტიპური დებულების დებულების დამტკიცების შესახებ, რომელშიც რეგისტრირებულ ამომრჩეველთა რაოდენობა 2000-ს აღემატება“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება - საკითხი ინიცირებული იყო პარტნიორი ადგილობრივი არასამთავრო ორგანიზაციების მიერ. შემოთავაზებული პროექტი ითვალისწინებდა ქალაქ ოზურგეთის ადმინისტრაციულ ერთეულში, დაბა ნასაკირალსა და დაბა ლაითურში დასახლების საერთო კრების დაფუძნებისათვის რეგულაციების შემოღებას განსხვავებული წესით. გამომდინარე იქიდან, რომ დარგობრივმა კომისიამ საკითხის კომპლექსური და სიღრმისეული შესწავლის შემდეგ საკრებულოს წარმოუდგინა დასაბუთებული უარყოფითი დასკვნა, ამ პროექტმა საკრებულოს უმრავლესობის, მათ შორის ჩემი, მხარდაჭერა ვერ მოიპოვა. შესაბამისად, დადგენილება ამ საკითხზე არ იქნა მიღებული.

➤ მოქალაქეებთან შეხვედრები

✓ მიუხედავად იმისა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში არ არსებობს საშუალო ბიურო და ნებისმიერ დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა



საკრებულოს წევრის **გიორგი ღურჯუმელიძის** ანგარიში



დაუბრკოლებლად შეხვდეს საკრებულოს ნებისმიერ წევრს, საკრებულოს განსაზღვრული აქვს ამომრჩეველთა მიღების და ამომრჩეველებთან შეხვედრის გრაფიკები. საკრებულოს თავმჯდომარის ბრძანებით მოქალაქეთა მიღების დღედ განმესაზღვრა ყოველი თვის სამშაბათი, თუმცა ყოველი სამუშაო დღის განმავლობაში ვხვდებით ათეულობით ამომრჩევლს და ვმუშაობთ მათთვის აქტუალური საკითხების გადასაწყვეტად.

მოქალაქეებთან უშუალო შეხვედრები COVID 19-ის პანდემიით გამოწვეული სირთულეების გამო, გასულ პერიოდებთან შედარებით, განსხვავებული ფორმატით მიმდინარეობდა. გარდა დადგენილი წესით მოქალაქეთა მიღებისა და შეხვედრებისა, აქტიური კომუნიკაცია გვქონდა ყველა შესაძლო არხებით, იქნებოდა ეს სატელეფონო კომუნიკაცია, სოციალური ქსელები თუ სხვა. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში 200-ზე მეტ მოქალაქეს შევხვდი.

- **მოქალაქეებთან შეხვედრისას გამოთქმული ძირითადი საკითხები, საკრებულოს წევრის რეაგირების ფორმები (მათ შორის დადებითად გადაწყვეტილი კონკრეტული საკითხები)**

მოქალაქეების მიერ წამოჭრილი საკითხები ძირითად დაკავშირებული იყო ჯანმრთელობის პრობლემებთან, სოციალური სირთულეების დაძლევისასთან და ინფრასტრუქტურული პრობლემების მოწესრიგებასთან. ვახორციელებთ მოსახლეობის მიერ წამოჭრილი საკითხების აღრიცხვას, დახარისხებას და ამ პრობლემების გადასაჭრელად სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელებას. კომპეტენციის ფარგლებში ვახდენთ საკითხების გადაჭრას მუნიციპალიტეტის აღმასრულებელ ორგანოსთან ერთად, ხოლო იმ საკითხებზე, რომლებიც სცდება მუნიციპალიტეტის კომპეტენციას ვახდენთ მოსახლეობის კონსულტირებას.

ერთ-ერთი საკითხი, რომელიც მოსახლეობასთან შეხვედრების დროს გამოითქვა იყო მეცნიერების ქუჩაზე წყალარინების ამორტიზებული ქსელის რეაბილიტაციის საკითხი. ვმონაწილეობა მივიღე აღნიშნული პრობლემის გადასაჭრელად სამუშაოების დაგეგმვისა და საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის მომზადებაში. შედეგად მუნიციპალიტეტის მერიასთან მიღწეული იქნა შეთანხმება და მეცნიერების ქუჩაზე მცხოვრები 200 ოჯახისათვის მოეწყო წყალარინების ახალი ქსელი.

სხვა საკითხები, რომლებიც მოსახლეობასთან კომუნიკაციის შედეგად იქნა მიღებული, წერილობითი და ზეპირი შუამდგომლობის მეშვეობით წარედგინა შესაბამის კომპეტენტურ უწყებებს და მათი აბსოლუტური უმრავლესობა დადებითად იქნა გადაჭრილი.



➤ საკრებულოს წევრის მიერ საანგარიშო პერიოდში განხორციელებული სხვა საქმიანობა

✓ 2020 წელს მსოფლიო და მათ შორის საქართველო სერიოზული გამოწვევის წინაშე დადგა, რაც განპირობებული არის ახალი კორონა ვირუსის პანდემიით. არსებული დღის წესრიგი და ჩვეული სამუშაო გარემო მთლიანად შეიცვალა, ეკონომიკური და სოციალური ვითარება გართულდა. საქართველოს მთავრობის ინიციატივით შეიქმნა პანდემიით გამოწვეული სირთულეების დაძლევისათვის სპეციალური „stop cov“ ფონდი. ოზურგეთის საკრებულოში „ქართული ოცნების“ წარმომადგენლები შეუერთდით მმართველი გუნდის სოლიდარობის ინიციატივას და საკუთარი ანაზღაურებიდან 3 თვის განმავლობაში ვახდენდით თანხის ფონდში გადარიცხვას, რომელიც საბოლოოდ ჩვენი თანამემამულეების დასახმარებლად მიიმართა. ასევე, საკრებულოს უმრავლესობის წევრებმა, საკრებულოს აპარატის თანამშრომლებთან ერთად, საკუთარი სახსრებით, 70 ოჯახისათვის შევძლით სასურსათო ამანათების გადაცემა. გარდა ამისა, საქართველოს პარლამენტში ოზურგეთის მაჟორიტარი დეპუტატის, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბატონი არჩილ თალაკვაძის, კომპანია „შილდას“ და თურქეთის მთავრობის მხარდაჭერით ოზურგეთში 325 ოჯახს გადავეცით სასურსათო ამანათი. იმედს გამოვთქვამ, რომ უახლოეს პერიოდში ეს რთული ვითარება დაძლეული იქნება და ისევ დავუბრუნდებით ცხოვრების ჩვეულ რიტმს.

✓ ჩემი აზრით, ერთ-ერთი ძალიან მნიშვნელოვანი საკითხი, რაზედაც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში ვიმუშავეთ ეს იყო კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაცია. აქტიურად მივიღე მონაწილეობა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ბოხვაურის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარე XIX საუკუნის მთავარ ანგელოზის სახელობის ეკლესიისა და სამრეკლოს რესტავრაციის პროექტის განხორციელებაში, რომლის აღდგენაც საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით მიმდინარეობს და 2021 წელს უნდა დასრულდეს.

✓ ასევე, საერთაშორისო საქველმოქმედო ფონდ „ქართუს“ დაფინანსებით მიმდინარეობს და 2021 წელს უნდა დასრულდეს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის ჭანიეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მრავალფუნქციური დასასვენებელი სივრცის მშენებლობა, რომელიც ახალგაზრდების ინიციატივით დაიწყო.



➤ საარჩევნო პროგრამა



მ.პ.გ. „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებზე ამომრჩევლის წინაშე წარსდგა საარჩევნო პროგრამით „ქლიერი თვითმმართველობა - ქლიერი საქართველოსთვის“, რომელიც ითვალისწინებს როგორც განზოგადებული სახით თვითმმართველობების განვითარების პერსპექტივებს და დაგეგმილ ღონისძიებებს, ასევე წარმოდგენილი საარჩევნო პროგრამა კონკრეტულად ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2018-2021 წლებში განსახორციელებელ პროექტებს ასახავს.

როგორც მ.პ.გ. „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს წარდგინებით არცეული საკრებულოს წევრი, მსურს მოკლედ მოგახსენოთ საარჩევნო პროგრამით გათვალისწინებული საკითხების შესრულების მიმდინარეობის შესახებ:

საარჩევნო პროგრამის „ქლიერი თვითმმართველობა - ქლიერი საქართველოსთვის“ ამოსავალი წერტილი ადგილობრივი თვითმმართველობის გაქლიერება და სწრაფი მუნიციპალური განვითარების მიღწევაა. სტრატეგიული მიზნის მისაღწევად, როგორც ეს საარჩევნო პროგრამით არის გათვალისწინებული, საქართველოს მთავრობამ 2019 წლის 31 დეკემბერს N678 დადგენილებით დაამტკიცა დეცენტრალიზაციის 2020–2025 წლების სტრატეგია და დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმა, რომლის სტრატეგიული ორიენტირებია (1) ადგილობრივი დემოკრატიის განმტკიცება, (2) ადგილობრივი თვითმმართველობების შესაძლებლობებისა და ეფექტიანობის ხარისხობრივი ზრდა.

• „ადგილობრივი დემოკრატიის განმტკიცება“ - ამ მიზნის მისაღწევად, „ღია მმართველობა - პარტნიორობა (OGP)“ პროგრამაში მონაწილეობის ფარგლებში, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაამტკიცა 2019-2022 წლების „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგია“, რომლის სრული განხორციელების შედეგადაც მიღწეულ უნდა იქნას მოქალაქეთა მიერ ადგილობრივი თვითმმართველობის უშუალოდ განხორციელებისათვის უკეთესი პირობები, ადგილობრივი ხელისუფლების ორგანოების ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობების ხარისხობრივი ზრდა. დასახული მიზნების მნიშვნელოვანი ნაწილი უკვე მიღწეულია, ხოლო ჯერ მიუღწეველი მიზნების შესასრულებლად სამუშაოები აქტიურად მიმდინარეობს.



• „ადგილობრივი თვითმმართველობების შესაძლებლობებისა და ეფექტიანობის ხარისხობრივი ზრდა“ - უპირველესად გულისხმებს ადგილობრივი თვითმმართველობის გამგებლობას მიკუთვნებული საკითხები უფრო მეტ გაფართოებას, რაც სხვადასხვა სფეროში უფლებამოსილებების და საქმიანობების მასშტაბების შემდგომ გაფართოებას გულისხმობს, მათ შორის:

განათლება:

განათლების სისტემის განვითარება „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი საკუთარი უფლებამოსილება და პრიორიტეტია. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში ინფრასტრუქტურის განვითარებასთან ერთად, ვზრუნავთ მომუშავე პერსონალისათვის ღირსეული შრომის პირობების შექმნას და შესაბამისი ანაზღაურებით უზრუნველყოფას. ამისათვის 2020 წლის იანვრიდან შევძელით 800-ზე მეტი თანამშრომლისათვის შრომის ანაზღაურების ზრდა 50 ლარის ოდენობით და მიუხედავად რთული ეკონომიკური მდგომარეობისა, 2021 წლის ბიუჯეტითაც შევძელით საბავშვო ბაღების 840 თანამშრომლისათვის ხელფასის 50 ლარით გაზრდა. ეს ღინამიკა მომავალშიც იქნება შენარჩუნებული.

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, ზოგადი განათლების სფეროში მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობად განისაზღვრა სასკოლო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფა. დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში 2020 წელს პრაქტიკულად ყველა სკოლაში განხორციელდა მცირე სარეაბილიტაციო სამუშაოები და პრაქტიკაში გამოჩნდა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა ზოგადი განათლების სფეროს ამ კომპონენტს უფრო ეფექტიანად ახორციელებს.

ჯანმრთელობის დაცვა:

მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესება „ქართული ოცნების“ ხელისუფლების უმნიშვნელოვანესი პრიორიტეტია. 2018 – 2021 წლებში ჯანდაცვის მომსახურებაზე მოსახლეობის ხელმისაწვდომობის გასაზრდელად და სოციალური დახმარების სისტემის დასახვეწად სპეციალური ღონისძიებების გატარება მიმდინარეობს.

ზემოთ აღნიშნულის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განხორციელდა სასწრაფო-სამედიცინო დახმარების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება, აშენდა ახალი, თანამედრვე სტანდარტების და უახლესი ტექნიკით აღწეული შენობა, რომელიც უკვე ექსპლოატაციაში არის შესულ. ასევე, დასრულდა 4 ადმინისტრაციულ ერთეულში



(კონცკატი, დაბა ნასაკირალი, ჭანიეთი, გურიანთა) ახალი ამბულატორიების მშენებლობა და 6 ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული ამბულატორიების სრული რეაბილიტაცია.

ინფრასტრუქტურის განვითარება:

2020 წლის განმავლობაში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი მომსახურების გაუმჯობესებაზე განსაკუთრებული აქცენტი გაკეთდა.

საანგარიშო პერიოდში, საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციისათვის 10 მილიონ ლარამდე დაიხრატა.

შ.პ.ს. „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიის“ მიერ 2020 წელს დაიწყო და მიმდინარეობს 11 დასახლებული პუნქტისათვის 35 მილიონ ლარზე მეტი ღირებულების წყალმომარაგების ქსელის პროექტირება-მშენებლობა.

შ.პ.ს. „საქართველოს გაზის ტრანსპორტირების კომპანიის“ მიერ 2020 წელს განხორციელდა ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 19 სოფლის გაზიფიკაციის სამუშაოები. საანგარიშო პერიოდის ბოლოსათვის ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 85%-ს მიენოღება ბუნებრივი აირი.

„საყოველთაო ინტერნეტიზაციის პროგრამის ფარგლებში“ მაღალსიჩქარიან ინტერნეტთან წვდომის ხელშეწყობის მიზნით, ფართოზოლოვანი, ოპტიკურ-ბოჭკოვანი ინფრასტრუქტურის განვითარების სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს "ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს" მიერ დაფუძნებულმა ა(ა)იპ „ოუფენ ნეტმა“ 2020 წლიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 49 დასახლებულ პუნქტში დაიწყო შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობის, რომლის ღირებულება 10 მილიონ ლარს შეადგენს. აღნიშნული პროექტის განხორციელების შედეგად, ადგილობრივ მოსახლეობას და ორგანიზაციებს შესაძლებლობა ექნებათ ისარგებლონ მაღალი ხარისხის სწრაფი ინტერნეტით.

ეს არის საბაზისო ინფრასტრუქტურის არასრული (ზოგადი) ჩამონათვალი, რომლის განხორციელებამაც მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი მოსახლეობისათვის უკეთესი საცხოვრებელი გარემოს შექმნას. აღნიშნული მიმართულება საარჩევნო პროგრამის მნიშვნელოვანი ნაწილია.



➤ არასამთავრობო სექტორთან ურთიერთობა

საანგარიშო პერიოდში მონაწილეობა მივიღე არასამთავრობო ორგანიზაციების ტერნინგ-სემინარებში და სამუშაო შეხვედრებში, რომლებიც ახალი კორონავირუსის პანდემიის გამო ონლაინ ფორმატში მიმდინარეობა:

✚ **ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI) - ადგილობრივი თვითმმართველობის პროგრამა:**

- ✓ „საჯარო კომუნიკაცია COVID 91-ის პანდემიისას“;
- ✓ საბიუჯეტო პრიორიტეტების იდენტიფიცირება;
- ✓ პანდემიის გავლენა საბიუჯეტო პროცესზე და 2021 წლის პრიორიტეტის დოკუმენტისა და ბიუჯეტის შემუშავებაში მოქალაქეთა ჩართულობის საკითხები;

✚ **საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი (CSI):**

- ✓ „ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში მოქალაქეთა მონაწილეობის ხარისხის შეფასება“

➤ წარმომადგენლობითი უფლებამოსილება

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის სახლით ვმონაწილეობა მივიღე:

✓ საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს სხდომის მუშაობაში, სადაც სხვადასხვა საკითხებთან ერთად, განვიხილეთ და დავამტკიცეთ „საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის გენდერული თანასწორობისა და გენდერული მენსტრიმინგის სტრატეგია“;

✓ საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის პროექტის „კარგი მმართველობა გენდერული თანასწორობისათვის“ ონლაინ-კონფერენციაში;

✓ საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის მიერ ორგანიზებულ ძალადობის წინააღმდეგ მიმართულ კამპანიაში;

✓ „საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის შესაძლებლობების გაძლიერება გენდერული თანასწორობის მიმართლებით“ სამუშაო შეხვედრაში;



საკრებულოს წევრის გიორგი ღურჯუმელიძის ანგარიში



➤ მომავლის გეგმები

ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელება დინამიური პროცესია, ამიტომაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობით ორგანოს - საკრებულოს. საკრებულოს საქმიანობის ეფექტიანობას უზრუნველყოფს მოსახლეობისგან წამოსული ინიციატივების მხარდაჭერა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში მათი გათვალისწინება.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, მომავლის გეგმებიც დავეუკავშირე ადგილობრივი საჭიროებებსა და მუნიციპალიტეტის წინაშე არსებულ გამოწვევებს, მათ შორის გამოვყოფ ძირითადს:

- მუნიციპალიტეტის ეკონომიკური (მათ შორის ტურისტული) პოტენციალის ათვისების ხელშეწყობა;
- მუნიციპალიტეტის კომუნალური სერვისების გაუმჯობესების ხელშეწყობა;
- სანდო, ანგარიშვალდებული, გამჭვირვალე და შედეგზე ორიენტირებული ადგილობრივი თვითმმართველობის ჩამოყალიბების ხელშეწყობა.

და ბოლოს, მინდა განსაკუთრებული მადლობა გადავუხადო ჩემს კოლეგებს, მ.პ.გ. „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“-ს გუნდს მხარდაჭერისათვის, თანამშრომლობისთვის საკრებულოს, საკრებულოს აპრატს განეული მუშაობისთვის, ოზურგეთის მაჟორიტარ დეპუტატს, საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს არჩილ თალაკვაძესა და მის ბიუროს თანადგომისთვის, განსაკუთრებული მადლობა ოზურგეთლებს გამოცხადებული ნდობისთვის.

გმადლობთ, ყურადღებისათვის!

ანგარიში შედგენილი და წარდგენილია საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 88-ე მუხლის და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რეგლამენტის 131-ე მუხლის მოთხოვნების შესაბამისად.

შევსების თარიღი 31.12.2020 წელი
წარდგენის თარიღი 23.02.2020 წელი
ხელმოწერა